ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3065667

ნომერი: AR1466825

თარიღი : 26.12.2016

გაცემის თარიღი : 26.01.2017

გაცნობის თარიღი : 26.01.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩისა და ავტოგასამართ სადგურ "გრეკო"-ს შორის/
ქალაქი თბილისი , საქ.სამხედრო გზაზე , ახმეტელის ქუჩისა და ა.გ.ს. , "გრეკოს"-ს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ფარულავა პ/ნ 01018003578
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 7 ბ. 23

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1466825 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.13.01.022.140) დასუფთავებასა და კეთილმოწყობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქენს დაინტერესებაში არებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.13.01.022.140) მდებარეობს დავით აღმაშენებლის ხეივანის უშუალო სიახლოვეს, რომელიც წარმოადგენს ქალაქის უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო მაგისტრალს. ამასთან, მოცემული ტერიტორია წარმოადგენს საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი სივრცის ნაწილს, რომელიც განკუთვნილია გამწვანებისთვის.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და გასცეს დადებითი ქალქგეგმარებითი დასკვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.